საქართველოს დამოუკიდებლობის 6 თვის საზეიმო აღნიშვნა (ქართული პრესის მასალები)

ზეიმის დღე

დილიდანვე ქუჩას არაჩვეულებრივი ხასიათი მიეცა. ჯარმა და მილიციამ იწყო მოსვლა. ხალხი იკრიბებოდა სასახლის წინ და მთელი რგოლით შემოერტყა სამხედრო ტაძრის გალავანს, სადაც პარადი უნდა მომხდარიყო. ბუზივით ირეოდა ხალხი და სცდილობდა როგორმე ტაძრის ეზოში შესულიყო. ჯარი მარჯვედ ჩამწკრივებული იდგა. რამოდენიმე სამხედრო მუსიკა უკრავდა.

გამოჩნდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბ. ნ. ს. ჩხეიძე, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ბ. ნ. ნ. ჟორდანია და მინისტრები. შეჯგუფებული ხალხი მათ დანახვაზე გაეპო და თავისუფალი გზა მისცეს მათ ტაძრის ეზოსაკენ.

ჯარმა „გაუმარჯოს“ ძახილით უპასუხა მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ნ. ჟორდანიას მისალმებას. პარადის შემდეგ ჯარი მუსიკით ქუჩისაკენ გაეშურა...

აუარებელი ხალხი მოაწყდა სასახლეს, მაგრამ შესვლა შიგ ყოვლად შეუძლებელი იყო მათთვის, ვისაც ნებართვა არა ქონდა. ამიტომ სასახლის წინ ქუჩა გაივსო და ეს აუარებელი ხალხი თვალაპყრობილი მისჩერებოდა სასახლეს, სადაც მალე საქართველოს პარლამენტის საზეიმო სხდომა გაიხსნებოდა, მისჩერებოდა, როგორც დამოუკიდებლობის და თავისუფლების სიმბოლოს.

ხალხი თანდათან იზრდებოდა, მატულობდა. წითელი დროშები ფრიალებდნენ სასახლის წინ...

თვით პარლამენტში დეპუტატები არაჩვეულებრივი სიჩქარით იჭერდნენ თავის ადგილებს... ხორები სავსე იყო. დიპლომატიური ლოჟა დიპლომატებით გავსებულიყო. ყველაზე წინ იჯდა გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარე ბ. ფონ-კრესსი. დანარჩენი ლოჟებიც კი არ იტევდენ მოსურნეთ. პრესის წარმომადგენლების ლო-

ჟაში მოვიდა ყველაზე მოხუცებული ქართველი გენერალი ბ. ყაზბეგი, სმენათ ქცეული და გაფართოებული თვალებით იგი მისჩერებოდა სახალხო წარმომადგენლების ტრიბუნას. ტრიბუნა კი მშვენივრათ გამოიყურებოდა: მცენარეებით შემორკალული იყო და მწვანეში იმალებოდა. ტრიბუნის უკან მთელ კედელზე აკრული იყო საქართველოს დროშა. მარცხნივ წითელი დროშით ხელში იდგა მოხუცებული გვარდიელი, მარჯვნივ - ახალგაზრდა ჯარისკაცი საქართველოს დროშით ხელში. მინისტრების ადგილები სავსე იყო.

დეპუტატების შემოსავალ კარებს მაღლა კედლის საათი გაჩერებულიყო. იგი უჩვენებდა 4. და 10 წ. - ეს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროა...

სხდომას ხსნის თავმჯდომარე ნ. ს. ჩხეიძე, რომელსაც მთელი კრება ფეხზე ადგომით ტაშით ეგებება. მოისმის ქართული ჰიმნი.

ნ. ს. ჩხეიძე დღეს არაჩვეულებრივია. ლაპარაკობს მოკლეთ, გამოკვეთილი და ჩამომარმარილებური წინადადებებით. თვითეული წინადადება ფორმულაა, რომელიც დახსნის შემდეგ მთელ ისტორიას და სვე-ბედს და იდეალს გვიხატავს. და როდესაც მიმართა ელჩებს, პარლამენტი ზე წამოდგა ტაშით და ელჩებმაც ფეხზე ადგომით უპასუხეს, სხდომა მხურვალე ტაშის ცემით აწყვეტინებს სიტყვას ჩხეიძეს. ტაშს უკრავს ხორებიც, ლოჟებიც და უკანასკნელი მისი სიტყვები ამქუხარებულ ტაშში ინთქმება...

სიტყვა მიეცა მთავრობის თავმჯდომარეს ბ. ნ. ჟორდანიას, იგი წამოდგა და გამოემართა ტრიბუნისაკენ. მთელი პარლამენტი ფეხზე ადგომით, ტაშისცემით შეეგება და მიაცილა იგი ტრიბუნაზე. ძლიერი სიმკვეთრით, გამოჭედილი მახვილი სიტყვებით ლაპარაკობს მთავრობის თავმჯდომარე ნ. ნ, ჟორდანია და მთელი დარბაზი სულგანაბული უსმენს მას...

გარედან კი გუგუნებს ხალხი... მოისმის სიმღერის ხმა...

ათავებს სიტყვას მთავრობის თავმჯდომარე ნ. ნ. ჟორდანია და მთელი დარბაზი ზეიმით აცილებს მოხუცებულ ბელადს.

კრება იხურება.

გარეთ მოზღვავებული ხალხი მოუთმენლათ მოელის თავის ლიდერების ხილვას. ჟრიამულით ხვდება იგი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ს. ჩხეიძეს, რომელიც ქუდმოხდილი სიტყვას იწყებს... სიყვარულით უსმენენ მას და მის მოსწრებულ სიტყვაზე გულიანი სიმხიარულით ხვდებიან.

მიტინგმა გასტანა თითქმის ხუთ საათამდე. ილაპარაკა მრავალმა ორატორმა... საღამოს კი სასახლე წინ გაჩირაღდნებული იყო... ქალაქის თვითმართველობა ელექტრონით გაბრწყინებულიყო... მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა. შუა სართულზე წითელით წარწერა გამოჩნდა: „გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას! გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას“. იგივე წარწერა ამშვენებდა სასახლეს... ზეიმი იყო...

„საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წლის 3 დეკემბერი, N 107, გვ.3.

სასახლესთან

პარლამენტის სხდომის დახურვის შემდეგ სასახლის წინ მოზღვავებულ ხალხში ჩადის **კარლო ჩხეიძე** და სპეციალურად მოწყობილ ტრიბუნიდან სიტყვას ამბობს. მან მოკლეთ გაიმეორა ის სიტყვა, რომელიც პარლამენტში სთქვა. მას ხშირად აწყვეტინებდნენ სიტყვას ტაშის ცემით და „ვაშას“ ძახილით.

შემდეგ ლაპარაკობს ნაძალადევის მუშების სახელით მუშა **გ. ფოფხაძე.** ის ესალმება ხალხს 1 რაიონის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სახელით (ტაშის ცემაა). შემდეგ აღნიშნავს იმ გარემოებას, თუ რა დიდი როლი ითამაშა ნაძალადევმა რევოლიუციაში. მან მისცა მუშათა პარტიას საუკეთესო მებრძოლები, გვარდიელები და სხვა. ის ამბობს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ეს ფარია რევოლიუციის მონაპოვრებისა. ორატორი ეხება საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებს და ამბობს, რომ ჩვენ არ გვეგონა თუ ამდენი მტერი გაგვიჩნდებოდა. ჩვენს მთავრობასახ ბევრი მტერი ჰყავს, მათ უნდა იცოდნენ, რომ ჩვენი მთავრობის პოლიტიკა ეს ჩვენი მუშათა კლასის პოლიტიკაა. დასასრულ ორატორი ამბობს,

რომ დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ საქართველოს დამოუკიდებლობას და ვისურვებდით ახლო მომავალში გვედღესასწაულოს ინტერნაციონალის გამარჯვება (ტაში).

შემდეგ ტრიბუნაზე ადის **ალექსანდრე ლომთათიძე.** მის გამოსვლას ზღვა ხალხი ტაშის ცემით ხვდება. ორატორი დაახლოვებით შემდეგი სიტყვით მიმართავს ხალხს: დღეს დემოკრატიას მართლაც რომ მართებს დღესასწაული, ზეიმი. აი, მოქალაქენო, აქ მოზღვავებული ნაწილი საქართველოს დემოკრატიისა თავისი მოსვლით ამტკიცებს, რომ მის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგმულია და შესაფერი ნაყოფიც გამოუღია. დღეს საქართველოს მუშათა კლასი საქართველოს მოქალაქეებთან ერთად, ერთა თვითგამორკვევას დღესასწაულობს. ჩვენ სოციალ-დემოკრატიას ერთა თვითგამორკვევისათვის, როგორც სხვა პრინციპებისათვის არა ერთი და ორი მსხვერპლი მიუტანია რევოლიუციის სამსხვერპლოზე. აქ დღეს ჩვენმა ბელადმა გვითხრა, რომ ჩვენი ნამოქმედარის არც გვრცხენია და არც გვეშინიაო. მე ამ ფრაზას ერთნაირად შევცვლი და ვიტყვი: ჩვენ არამც თუ შიში გვმართებს, ანდა გვრცხვენია, არამედ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მაშინ, როდესაც დემოკრატია მოსპეს, გაანადგურეს, აი აქ ჩვენმა დემოკრატიამ გაუძლო და განამტკიცა წმინდა დემოკრატიული პრინციპები და აქ დაამკვიდრა რევოლიუციის მონაპოვრები. მას დღესაც მაგრად უჭირავს ხელში რევოლიუციონური წითელი დროშა. აქ მტრებზე გვეუბნებოდნენ. მე ერთს გეტყვით: თუ ისეთი მტკიცე ვიქენით, როგორც აქამდე, მაშინ ვერავითარი მტერი ვერ შეგვაშინებს და თუ მაინც და მაინც მოზღვავდა ძალები და ჩვენ დავეცით ბრძოლის ველზე, ჩვენი უკანასკნელი ამონაკვნესი ის იქნება, რომ საქართველოს დემოკრატიამ პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა, ის მუდამ წინა რაზმებში იყო და წინა რაზმში დაეცა. მომავალი ისტორია, თუ კი ის პირუთვნელი იქნება, იტყვის, რომ აი ხალხი, კუთხე, რომელმაც განიცადა აზიური ბარბაროსობის საშინელება, გაუძლო რუსეთის ძველ რეჟიმს და მიაღწია ამ დღემდე და დაეცა არა იმიტომ, რომ ის მომ-

ზადებული არ იყო, არამედ იმიტომ, რომ ის მცირე აღმოჩნდა და მოზღვავებულ მტრებს ვერ გაუძლო.

ჩვენ მაისის პირველ რიცხვებიდან გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენი ხალხი არ იზიარებს თქვენს აზრს და დადგება დრო, როცა პასუხს მოგთხოვთო. ჩვენ გვიკიჟინებდნენ, რომ 26 მაისის აქტი დემოკრატიის საწინააღმდეგოაო. ისინი, ვინც ამ წითელი დროშებით მოსულან, ერთ რამეს გვეუბნება აშკარად, რომ ის, რაც აქ, ამ სასახლეში კეთდება, რაც გამოდის აქედან კანონების სახით ეს მათი დამცველი, გამმაგრებელია, საქართველოს დამოუკიდებლობის ხორცის შემსხმელია. აი ფაქტი. ისინი გვეუბნებიან, რომ ჩვენ ამ დროშას ხელს არ გაუშვებთ, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ და თან ბრძოლისკენ მოუწოდებენ ყველას განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა. ეს ფაქტი ჩვენ გვეუბნება, რომ განმტკიცებულ იქნება საქმე დემოკრატიისა, სოციალიზმისა. დღევანდელი დღე გვიმტკიცებს, რომ ისინი, მტრები, სცდებოდნენ კეთილშობილურათ, ან და მათ არა მეგობრობა დემოკრატიისა, არამედ შუღლი, მტრობა და ერთგვარი შურიც კი. მოქალაქენო, დემოკრატია დღეს თამამად ამბობს, რომ მან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით აღიარა, რომ ის მტკიცედ სდგას ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე და საქართველოს დამოუკიდებლობა არამც თუ ისტორიულ აქტათ მიაჩნია, არამედ აფასებს ისე, რომ ის საუკეთესო ფორმად მიაჩნია დემოკრატიული წყობილებისა.

დასასრულ ორატორი ეხება ბრძოლას მომავლისათვის, მოუწოდებს ხალხს ამ მერმისისათვის ბრძოლისაკენ და ეუბნება: მე თქვენ მოგიწოდებთ, რომ მეტის ენერგიით ვიბრძოლოთ. რომ დღეს თუ ვდღესასწაულობთ და ვამბობთ, რომ ერთა თვითგამორკვევის პრინციპი მტკიცდება, მაშინ ვიტყვით, რომ დემოკრატიზმმა საბოლოოდ გაიმარჯვა, ის უკვე განმტკიცებულია (ხანგრძლივი ტაში).

შემდეგ სიტყვებს ამბობენ ალ. წერეთელი, ვ. ჯუღელი, ს. დადიანი, მამედ-ბეგ აბაშიძე, კომახიძე, ალ. გორგაძე. ყველა ორატორები ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ საქართველოს ფარგლებ-

ში შენარჩუნებულია რევოლიუციის მონაპოვრები და საჭიროა მისი დაცვაო.

დასასრულ მეტის მეტად მგრძნობიარე სიტყვით მიმართა ხალხს მუშა ვლასა მგელაძემ. მან ხაზი გაუსვა საქართველოს წარსულ ბრძოლას და ქართველი ერის სულის სიმდიდრეს და სთქვა, რომ ეს ხალხი დიდებულ მომავალს გამოსჭედს. ხალხი მარსელიოზის სიმღერით დაიშალა საღ. 4 ნახ. საათზე.

„ერთობა“, 4 დეკემბერიმ 1918 წ., N 263, გვ.2.

სასახლესთან

პარტიულ კლუბიდან ამხანაგები ეროვნული და რევოლიუციონური დროშებით, სიმღერით გაემართნენ სასახლისაკენ, რომლის წინ აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. სობორის გალავანში ქართველ ჯარის პარადი იყო, რომელმაც მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა. აგრეთვე კარგს შთაბეჭდილებას მოახდენდნენ მილიციონერები, რომელთაც მწყობრად დარაზმულნი თავის უფროსით სასახლის წინ გაიარეს. სობორის გალავნიდან აუარებელ ხალხის თანადასწრებით, რომელსაც მთელი ქუჩა და ასავალ-გასავალი მთლად შეეკრა რიგ-რიგად გამოდიოდა საქართველოს მხედრობის სხვა და სხვა ნაწილი. ყოველ ნაწილს საკუთარი სამხედრო ორკესტრი მოუძღოდა წინ, ამასთანავე ერთად ქალაქს დასტრიალებდა ჰაეროპლანები, რომელიც საქართველოს ეროვნულ დროშით იყო მორთული.

თვით სასახლეს საზეიმო მორთულობა ჰქონდა. მალე ამ ზღვა ხალხს მიემატნენ კიდევ სხვა და სხვა უბნებიდან მოსული მუშები თავიანთი დროშებით, ხოროთი და მუსიკით. სასახლის დარბაზში შესვლის აუარებელი მსურველი იყო, მაგრამ კარებთან მისვლა ძლიერ გაძნელდა. ბევრი ისეთიც კი, ვისაც ბილეთი ჰქონდა, სხდომაზე ვერ მოხვდა, რადგან სხდომის დაწყების შემდეგ არავის უშვებდნენ.

პარლამენტის საზეიმო სხდომა მალე გათავდა და ნაშუადღევის 1-ნახ. ს. მონაწილენი გარედ გამოვიდნენ. აქ გაიმართა დიდი

მიტინგი, რომელიც ოთხის ნახევრამდე გაგრძელდა. სასახლის შუა კარებთან დასდგეს ტრიბუნა, პირველად ილაპარაკა პარლამენტის თავმჯდომარე კ. ჩხეიძემ. მან აღნიშნა მნიშვნელობა დამოუკიდებლობისა, მოიხსენია მისი მტრები და ის „მოციქულნი ეშმაკისა“, რომელნიც გვიცოდებენ და დაგვტირიან, რომ ჩვენ თავისუფალ ცხოვრებას ვერ შევსძლებთ და მოუწოდა ხალხს საქართველოს სუვერენობის ყოველი საშუალებით დაცვისათვის. ბოლოს აღნიშნა, რომ როგორიც უნდა იყოს საერთაშორისო მდგომარეობა, ვინც უნდა მოვიდეს აქ, ჩვენ ყველას პირნათლად შევხვდებით, რადგან პატიოსან პოლიტიკას ვაწარმოებდით. ჩვენ არც ვისთანმე შეხვედრისა გვეშინია, არც გვრცხვენიაო.

ორატორს ხალხი „ვაშათი“ და ტაშით აწყვეტინებდა სიტყვას.

ნ. ჩხეიძის შემდეგ ილაპარაკა ნაძალადევის მუშათა წარმომადგენელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს მუშათა კლასი მუდმივად დაიცავს დამოუკიდებლობას, რადგან იგი რევოლიუციის მონაპოვარიაო.

შემდეგ ილაპარაკეს ალ. ლომთათიძემ, ამხ. ალ. წერეთელმა და ამხ. დადიანმა, რომელთაც ხალხის ტაში და ვაშა გამოიწვიეს. მათ ლამაზად დაახასიათეს მაისის 26 მნიშვნელობა და აგრეთვე ის, რომ საქართველოს სუვერენობა ხელს შეუწყობსა ჩვენი საბოლოვო იდეალის - სოციალიზმის გზაზე წინსვლას და ქართველი მშრომელი ხალხის ბედნიერებას.

გულწრფელი სიტყვა წარმოსთქვა სტუდენტების სახელით ამხ. კ. კობახიძემ, რომელმაც აღნიშნა სტუდენტობის როლი საქართველოს შინაურ და გარეშე მტრებთან ბრძოლაში. ილაპარაკა აგრეთვე ქართველ მაჰმადიანების სახელით მემედ ბეგ აბაშიძემ, რომელმაც თავისი სიტყვა დაამთავრა ძახილით გაუმარჯოს მთლიან საქრისტიანო და სამაჰმადიანო საქართველოსაო.

სიტყვები წარმოსთქვეს გვარდიის სახელით ვალ. ჯუღელმა. ილაპარაკა აგრეთვე ალ. გორგაძემ.

ბოლო სიტყვა წარმოსთქვა თავმჯდომარე ვლასა მგელაძემ, რომელმაც სიყვარულით მოიხსენია საქართველოს წარსული ბრძო-

ლა არსებობისათვის, მისი როლი ისტორიაში და იმედი გამოსთქვა, რომ იგი ყოველგვარ ქარ-ცეცხლს გაუძლებს. მიტინგი ამით დამთავრდა.

საღამოს

საღამოს მშვენივრად იყო მორთული სასახლე და ქალაქის თვითმმართველობა, აგრეთვე სახელმწიფო თეატრი, განსაკუთრებით გაჩირაღდნებული იყო ქალაქის თვითმმართველობის შენობა, რომლის შუაგულს ელექტრონით განათებულ ასოებით ქართულად ეწერა: გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და ერთა სოლიდარობასაო. აღტაცებული ხალხი მთელი დღის განმავლობაში ქუჩას არ მოშორებია და სიხარულით შეჰყურებდა და მონაწილეობას იღებდა ამ საერთო დღესასწაულში.

„სახალხო საქმე“, 1918 წ. 3 დეკემბერი, N 399, გვ.3.

სტუდენტების მანიფესტაცია

კვირას, დეკემბრის 1-ს, 10 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში თავი მოიყარა ქართველმა სტუდენტებმა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 6 თვის თავის აღსანიშნავად. მიტინგი გახსნა მოკლე შესავალი სიტყვით ამხ. კოტე კობახიძემ. სოც.-ფედ. სტუდენტთა სახელით ლამაზის სიტყვებით მიმართა კრებას ამხ. ვარლამ ძიძიგურმა. ილაპარაკეს სხვა პარტიათა წარმომადგენლებმაც. სტუდენტთა მრავალ რიცხოვანმა გუნდმა დასჭექა „აღსდექ გმირთ გმირნო!...“ და პროცესია ეროვნული დროშით გაეშურა სასახლისაკენ. შორს გაისმოდა მშვენივრად და მძლავრი ხმებით ასრულებული სიმღერები: „თამარის დროშა გაშალეს“, „მარსელიოზა“, „ქართველო ხელი ხმალს იკარ“ და სხვა.

ვერის დაღმართთან პროცესიას მხატვრული სიტყვით მიმართა სტ. გ. ნაკაშიძემ. სიტყვები წარმოითქვა აგრეთვე ყოფილ კორპუსის სახლთან. სასახლემდე პროცესიას განუწყვეტლივ ემატებოდა ხალხი და გრანდიოზული ხასიათი მიიღო. სტუდენტთა გუნდი მთელ გზას თითქმის შეუჩერებლივ გუგუნებდა ეროვნულ და სარე-

ვოლიუციო სიმღერებს. სასახლის წინ პარლამენტის წევრთა და სტუდენტთა გამგეობის თავმჯდომარის კ. კობახიძის ლამაზ და შინაარსიან სიტყვის შემდეგ სტუდენტები გაეშურენ განათლების სამინისტროსაკენ, სადაც დროშა დასტოვეს და დაიშალენ.

„სახალხო საქმე“, 1918 წ. 3 დეკემბერი, N 399, გვ.3.

პარლამენტის წინ

თბილისის ქუჩებს დილიდანვე დიდი მოძრაობა დაეტყო. ქალაქების ყველა კუთხეებიდან, ხალხმა სასახლისაკენ იწყო დენა და მრავლად მოგროვდა სასახლის მოედანზედ და სამხედრო ტაძრის გალავნის გარშემო, სადაც თბილისის ჯარების პარადი იყო განზრახული.

დილის 11 საათისათვის პარადზედ მობრძანდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე და მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ნოე ჟორდანია, მინისტრებისა და ღენერალ-ღუბერნატორის მაზნიაშვილის და ღენერალიტეტის თანხლებით.

პარადი, რომელსაც ქართულად ხელმძღვანელობდა ღენერალი სუმბათაშვილი, ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ მიიღო და ჯარების ჩამოვლისას მიულოცა მათ ეროვნული დღესასწაული და მოუწოდა საქართველოს დამოუკიდებლობის ერთგულ დარაჯად ყოფილიყვნენ.

„გაუმარჯოს ბატონ ჟორდანიას“ იგრიალა ჯარმა. მუსიკამ ეროვნული ჰიმნი დაუკრა. არსენალიდან იგრიალეს ზარბაზნებმა და ჯარის ნაწილებმა გაშლილი დროშებით, ცერემონიალური მარშით გაიარეს მთავრობის თავმჯდომარის წინ და ყაზარმებისკენ გაეშურენ.

პარადის დასრულების შემდეგ პარლამენტის წევრნი და მთავრობა სასახლისაკენ გაემართენ, ხოლო სასახლის პატარა მოედანზედ აუარებელი ხალხი მოგროვდა. 12 საათისთვის მოედანზედ მოვიდნენ ქართული უნივერსიტეტის სტუდენტობა დროშებით წარწერებით: „გაუმარჯოს საქართველოს“ და სახალხო გვარდი წითელი ბაირაღებით, რომელთა შორის სრულიად შეუფერებლად

ამართულიყვნენ წითელი ბაირაღები რუსული წარწერით: გაუმარჯოს რუსეთის დემოკრატიას, გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას.

ხალხი მოუთმენლად მოელოდა პარლამენტის სხდომის გათავებას. სასახლის წინ გამზადებული იყო ესტრადა ორატორთათვის 1 ½ საათზედ ხალხს სიტყვით მიმართა პარლამენტის თავმჯდომარემ ნ. ჩხეიძემ, რომელმაც დაახლოვებით იგივე სიტყვა გაიმეორა, რომელიც პარლამენტში წარმოსთქვა. შემდეგ ილაპარაკეს ალ. ლომთათიძემ, წერეთელმა, მემედ ბეგ აბაშიძემ და ვალიკო ჯუღელმა (რუსულად) და მრავალმა სხვებმა.

მიტინგმა ნაშუადღევის 4 საათამდე გასტანა.

საღამოთი ქალაქი განათებული იყო ფერადი სინათლით.

ქალაქის გამგეობის სახურავზედ ელექტრონით ფერადი შუშებით წარწერილი იყო:

გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას.

გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას.

ილიუმინაცია იყო სასახლესთანაც და სახალხო თეატრში.

„საქართველო“, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 4, N 232, გვ.4